ბრძანება № 219

"08" 05 2015

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გმირ კურსანტთა, ქერჩის და თიანეთის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე, „ჩარჩო გეგმის" კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „ვ", „ლ", „პ" და „უ" ქვეპუნქტების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გმირ კურსანტთა, ქერჩის და თიანეთის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე, „ჩარჩო გეგმის" სახელმწიფო შესყიდვის მიზნით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გმირ კურსანტთა, ქერჩის და თიანეთის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე, „ჩარჩო გეგმის" შესარჩევად დამტკიცდეს კონკურსის წესი და პირობები დანართის №1 შესაბამისად.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ქ. ზარბაევის 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

ა) ნინო ღოღობერიძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარე);
ბ) ოთარ ნემსაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე (კომისიის წევრი);
გ) ნინო გვენცაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების მომზადების განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი).
დ) გოჩა ბაბუნაშვილი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);
ე) ირაკლი მურღულია – მოწვეული არქიტექტორი (კომისიის წევრი).
4. საკონკურსო კომისიამ თავისი უფლებამოსილება განახორციელოს ამავე ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის შესაბამისად;
5. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა განახორციელოს კომისიის აპარატმა შემდეგი შემადგენლობით:
ა) თამთა ლომიძე;
ბ) ნესტან ადვაძე;
გ) გიორგი ქიტესაშვილი;
დ) ირმა ალიმბარაშვილი.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის დროებით
მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ღოღობერიძე**

205270053

დანართი #1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გმირ კურსანტთა, ქერჩის და თიანეთის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე, „ჩარჩო გეგმის" შესარჩევად გამოცხადებული კონკურსის წესი და პირობები

I. თავი
ზოგადი ნაწილი

1.1. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზანია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით" განსაზღვრული ქალაქგანვითარების სტრატეგიული მიმართულებებისა და პრიორიტეტების შენარჩუნებით, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გმირ კურსანტთა, ქერჩის და თიანეთის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალების მონიშვნა და მათი პრინციპული გეგმარებითი გადაწყვეტების მომზადება.
1.2. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ამოცანაა საპროექტო ტერიტორიებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმისათვის გეგმარებითი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა.
1.3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს.
1.4. ერთ კონკურსანტს შეუძლია წარადგინოს ერთი ან ერთზე მეტი საკონკურსო წინადადება. ერთი საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ერთი „ჩარჩო გეგმა".
1.5. საკონკურსო წინადადების წარსადგენად კონკურსში მონაწილე პირი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე იხდის საფასურს 50 ლარის ოდენობით. ანგარიშის ნომერი მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge.
1.6. გამარჯვებულს ღია კონკურსის ფორმით გამოავლენს საკონკურსო კომისია.
1.7. საკონკურსო კომისია გამოავლენს ერთ გამარჯვებულს, რომელთანაც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას.
1.8. საკონკურსო მასალების წარდგენა და საკონკურსო საქმიანობის წარმართვა იწარმოებს ქართულად.
1.9. საკონკურსო განცხადების განთავსება მოხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდსა www.procurement.gov.ge და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე www.tas.ge.

II. თავი
საკონკურსო პირობები

2.1. <u>საპროექტო ტერიტორიას წარმოადგენს:</u> ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, გმირ კურსანტთა, ქერჩის და თიანეთის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია (იხ. დანართი, აეროფოტო გადაღება ქუჩების ჩვენებით).

2.2. <u>ჩარჩო გეგმის საორიენტაციო არეალის ფართობი:</u> 600 000 კვ.მ. (შესაძლებელია დაზუსტდეს „ჩარჩო გეგმის" საპროექტო ვარიანტის ფარგლებში).

2.3. <u>საპროექტო ტერიტორიის დახასიათება:</u> ტერიტორია წარმოადგენს სამრეწველო ზონაში უწესრიგოდ ჩამოყალიბებულ გეგმარებით ერთეულს, უსისტემოდ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთებით. ტერიტორიას არ გააჩნია მოწესრიგებული სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურა.

205270053

2.4. <u>ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები:</u>

- „ჩარჩო გეგმა“ უნდა დამუშავდეს მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატული დოკუმენტების, მათ შორის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების მოთხოვნების დაცვით;
- საპროექტო ტერიტორიაზე, დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად;
- “ჩარჩო გეგმა” სქემის დონეზე უნდა განსაზღვრავდეს:

  - ✓ განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალებს, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით“ განსაზღვრული ქალაქგანვითარების სტრატეგიული მიმართულებებისა და პრიორიტეტების შენარჩუნებით;
  - ✓ მიწათსარგებლობის დაზუსტებულ ზონებსა და შესაძლებლობის შემთხვევაში, ქვეზონებს, მათ საზღვრებში ტერიტორიის გამოყენების დასაშვებ საქმიანობებს;
  - ✓ ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს;

- „ჩარჩო გეგმით“ შესაძლებელია მიწის ნაკვეთების საზღვრების მოწესრიგება და/ან შეცვლა.
- გეგმარებით არეალებს უნდა ჰქონდეთ ერთიანი გამართული სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურა;
- „ჩარჩო გეგმით“ უნდა დადგინდეს საპროექტო ტერიტორიის არეალისა და მის გარე ტერიტორიასთან კავშირის განსახორციელებლი სატრანსპორტო სქემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გმირ კურსანტთა ქუჩის კავშირი სარაჯიშვილის გამზირთან და იპოლიტოვ ივანოვის ქუჩასთან.
- „ჩარჩო გეგმის“ ფარგლებში, მიწის ნაკვეთების კონფიგურაციების ცვლილების შემთხვევაში, თითოეული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საინჟინრო და სატრანსპორტო ინფასტრუქტურით;
- ტერიტორიისთვის ან მისი ნაწილის/ნაწილებისათვის, სივრცითი კონცეფციის შესაბამისად, საჭიროებისამებრ, უნდა განისაზღვროს შენობა–ნაგებობების ან მათი ჯგუფის განთავსებისათვის განაშენიანების რეგულირების (წითელი) და სავალდებულო (ლურჯი) ხაზები;
- „ჩარჩო გეგმით“ უნდა განისაზღვროს ტერიტორიები საერთო სარგებლობის ღია ავტოსადგომების მოსაწყობად;
- „ჩარჩო გეგმით“ წარმოდგენილი უნდა იქნას განაშენიანების საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურით, აგრეთვე გამწვანებული და სარეკრეაციო ტერიტორიებით უზრუნველყოფის სქემები (კერძო საკუთრებებში არსებული საკადასტროების გათვალისწინებით, თვითმმართველის ტერიტორიაზე კი, შესაძლებელია გამოიყოს ტერიტორიები სარეკრეაციო სივრცეების მოსაწყობად (სპორტული მოედანი, ბავშვთა სათამაშო მოედანი, სკვერი და ა.შ.) და მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო საზოგადოებრივი ნაგებობები);

2.5. <u>კონკურსში მონაწილე პირებს,</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე – <u>www.tas.ge</u>, <u>შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:</u>

ა) ზოგადი ტოპოგრაფიული გეგმა;
ბ) აეროფოტო გადაღება (წითელი ხაზებით);
გ) აეროფოტო გადაღება ქუჩების ჩვენებით;
დ) მომიჯნავე ტერიტორიაზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმა და გეგმარებითი დავალება;
ე) საპროექტო ტერიტორიის ფოტოსურათები.

III. თავი
საკონკურსო წინადადება

3.1. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონული ფორმით ამ თავით დადგენილი წესების დაცვით.

3.2. <u>საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ გრაფიკულ და ტექსტურ მასალას:</u>

ა) საყრდენი გეგმა (ტერიტორიის არსებული გამოყენების გეგმა);
ბ) საკადასტრო რუკა და საკადასტრო გეგმები;
გ) სიტუაციური გეგმა, მ 1:2000 ან მ 1:5000;
დ) „ჩარჩო გეგმის" ტექსტური ნაწილი: აღწერა და განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ფიზიკური და დოკუმენტური კვლევის, აგრეთვე დასაბუთების ნაწილებს, რეალიზაციის (განხორციელების ეტაპებისა და რიგითობის) პროგრამასა და ქალაქგეგმარებითი მაჩვენებლებს;
ე) ტერიტორიის განვითარების სივრცითი კონცეფცია (სივრცითი კავშირები);
ვ) ტერიტორიის გამოყენების კონცეფცია - ტერიტორიის გამოყენების (ზონირების) სქემა მ 1:1000;
ზ) თემატური სქემები, მათ შორის სატრანსპორტო, სოციალური და საინჟინრო გადაწყვეტები, გამწვანება და რეკრეაცია, სხვა სქემები ავტორის შეხედულებისამებრ.
თ) „ჩარჩო გეგმის" ფრაგმენტ(ებ)ი (საჭიროების შემთხვევაში);
ი) განშლები და ჭრილები, მ 1:500 ან მ 1:1000;
კ) მიწის ნაკვეთების განაწილების (საზღვრების ცვლილების) რუკა (გამიჯვნის სქემა);
ლ) ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის სქემა მ 1:1000;
მ) 3D ელექტრონულ-ციფრული მაკეტირება;
ნ) დამატებითი დოკუმენტაცია, ავტორის შეხედულებისამებრ.

3.3. <u>საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონულ ვერსიაში, ქართულ ენაზე, PDF ფორმატში, დაარქივებული ფაილით, არაუმეტეს 25 მგ.</u>

3.4. საკონკურსო წინადადება ატვირთული უნდა იქნას ელექტრონულად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე - <u>www.tas.ge.</u>

3.5. <u>კონკურსში მონაწილეობის მიღებით კონკურსანტი აცხადებს თანხმობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, ავტორთან ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე, თავისი შეხედულებისამებრ, შეიტანოს ცვლილებები გამარჯვებულ „ჩარჩო გეგმაში".</u>

3.6. კონკურსში მონაწილე პირმა ამ თავით განსაზღვრულ დოკუმენტაციას უნდა დაურთოს საკონკურსო წინადადების წარმოდგენის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

3.7. ამ თავის „3.6" პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3.8. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ამ თავის „3.6" პუნქტით გათვალისწინებულ, საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

3.9. <u>საკონკურსო წინადადება, რომელიც არ პასუხობს ამ თავით გათვალისწინებულ წესებს და არ არის წარმოდგენილი დათქმულ ვადაში არ განიხილება.</u>

IV. თავი
კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის ვადები (კალენდარი)

	ღონისძიება	დედლაინი
1	საკონკურსო წინადადებების მიღება	კონკურსის გამოცხადებიდან 2 თვის ვადაში
2	საკონკურსო წინადადებების განხილვა	საკონკურსო წინადადებების მიღების ვადის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
3	შედეგების გამოქვეყნება	საკონკურსო წინადადებების განხილვის ვადის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში
4	ხელშეკრულების გაფორმება	შედეგების გამოქვეყნებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში

V. თავი
საკონკურსო კომისია

5.1. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.
5.2. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის აპარატი.
5.3. კომისიას ჰყავს მდივანი აპარატის შემადგენლობიდან. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს განსახილველი საკითხების ტექნიკურ მომზადებას და კომისიის ოქმის შედგენას.
5.4. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5.5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
5.6. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს კომისიის ერთ–ერთი წევრი თავმჯდომარის დავალებით.
5.7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მდივანი.

VI. თავი
შეფასების კრიტერიუმები

6.1. საკონკურსო კომისიის მიერ, გადაწყვეტილების მიღებისას, უპირატესობა მიენიჭება იმ საპროექტო გადაწყვეტას, რომელიც „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომპლექსურად გაითვალისწინებს საინჟინრო-სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობებს, ასევე, მაქსიმალურად დაადგენს სამშენებლო განვითარების კონკრეტულ პარამეტრებსა და სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების პირობებს (სართულიანობა, წითელი და ლურჯი ხაზები, მიწის ნაკვეთების მიჯნაზე დაშორებების მანძილები, სატრანსპორტო საშუალებების შენახვა), აგრეთვე ამ პირობების განხორციელების გზებს (ნაკვეთების საზღვრების ცვლილების სქემა).

VII. თავი
კონკურსის შედეგები

6.1. საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილეთაგან გამოავლენს 1 (ერთ) გამარჯვებულს, რომელთანაც შემსყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას.

6.2. გამარჯვებული „ჩარჩო გეგმის" შესყიდვის ფასი შეადგენს **10 000** (ათი ათასი) ლარს, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის არასაბიუჯეტო სახსრებიდან.

6.4. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

6.5. კონკურსის მეშვეობით შესყიდვა ჩაშლილად ითვლება თუ საკონკურსო კომისია არ მოიწონებს არცერთ წარმოდგენილ „ჩარჩო გეგმას".

6.6. კონკურსის მონაწილეებს წარმოდგენილი ნამუშევრები უკან არ უბრუნდებათ.

VIII. თავი
კონკურსის გასაჩივრება

7.1. კონკურსანტს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე, შეუძლია გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან საკონკურსო კომისიის ქმედება შემსყიდველ ორგანიზაციაში ან სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ კონკურსის ჩატარებისას დაირღვა კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები.

7.2. კონკურსის თავისებურებათა გათვალისწინებით, კონკურსთან დაკავშირებული დავის განხილვა ხდება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის №11 ბრძანების შესაბამისად.

სამსახურის უფროსის დროებით
მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ღოღობერიძე**